პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ოქტომბერი კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 250 (14854)

ძალაძი—სოფელს



ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲔᲑᲔᲡᲐ და საბჭოთა მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა. საწარმოს ინიციატივით მათთვის მთელ რიგ დანადგართა მონტაჟსა და ამუშავებას უსახსიდლოდ ხელმძღვანელობენ ქარხნის სპეციალისტები. სურათზე: მოწინავე ამწყობი ზეინკალი, კომკავშირული სულიკო ჭუბარია, რომელიც ცვლის დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს. ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

შეემოდგომა სოფლად

სოციალისტური შეჯიბრების კარგი გრადაცია დიდი ხანია დამკვიდრდა და ყოველწლიურად სულ ახალ-ახალი ფორმით იწყება და ვითარდება. წლის ბოლოს შეჯიბრების შედეგებს სამშობლოს, პარტიას უპატაჟებენ ხოლმე ჩვენი სოფლის მშრომელები. ახეა ამჯერადაც. — ხუთწლედის მეხუთე წლის დასაწყისში გორის, ზუგდიდის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების მშრომელებმა საქართველოს სოფლის მშრომელებს მიმართეს მოწოდებით ვ. ი. ლენინის საიუბილეო წელი გადაეცეთ სიუხვის წლად და ხაკტიო გამარჯვებებით შეხვედრიდნენ ხაბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს.

ინიციატორთა მაგალითით საქართველოს სოფლებში მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სიფუძველზე შემუშავებულ იქნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობაში, მემინდვრეობაში, მეცხოველეობაში. მეცატრუსეობასა და სხვა დარგებში.

ყველას გულის წადილი ერთი იყო—მიეღწიათ გამარჯვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიზანი ხომ სწორედ ის არის, რომ მიღწეულ იქნას საერთო წარმატება! ასე დაიწყო შრომა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობა მის კოლექტიურობაში, მასობრიობაში, ხალხთა-სახალხო საქმის წარმატებისათვის ენერგიულ შრომაშია. სოც შეჯიბრება კოლექტიურ შრომას უფრო ორგანიზებულსა და მიზან სწრაფულს ხდის. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა ის არის რომ უმეთაურონ შრომელთა ენთუზიაზმს, განუწყვეტლივ იზრუნონ იმისათვის, რომ ძლიერდებოდეს შეჯიბრების ქმედითობა, იხვეწებოდეს ორგანიზატორული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში.

...და აი შემოდგომა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ამ დროს ადება მთელი წლის ნაშრომის შეჯამება.

სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში პირველი სტაჟა მეჩაიეებს ეკუთვნით. მათ ერ კიდევ ივლისის დასაწყისში შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა. სწორედ მაშინ იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულება — ხუთწლედის გეგმის გადამეტებით სამშობლოსათვის მიეცათ 100 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი და შეასრულეს კიდევ ხუთწლედის გეგმის გადამეტებით ქვეყანამ ასი ათას ტონაზე ბევრად მეტი ჩაის ნედლეული მიიღო. ეს მეჩაიეობის რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების. ყველა მეჩაიის დიდი გამარჯვებაა, რომელიც მოპოვებულია სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციით, ამ საქმეში კომუნისტთა აქტიური მონაწილეობით.

სოციშეჯიბრება მთელი ძალით გაჩაღდა მევენახეობის რაიონებში, ისინი როდი ჩამორჩნენ მეჩაიეებს. ყურძნის დამზადების ხუთწლიანი გეგმა უკვე გადამეტებით შეასრულეს. ამ საქმეში პირველ რიგში ქების ღირსია გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის ყვარლის, სიღნაღის და სხვა რაიონების მევენახეთა ნაყოფიერი შრომა. მიმდინარე წლის რთველის დაწყების წინ კახეთის რაიონების მევენახეებმა გურჯაანში ზონალური თათბირზე ვალდებულება იკისრეს — სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 200 ათასი ტონა ყურძენი. მათ ეს ვალდებულება სასახელოდ შეასრულეს. მარტო გურჯაანის რაიონის მევენახეებმა სახელმწიფოს 75.000 ტონა ყურძენი მიჰყიდეს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებაში შეჯიბრების ინიციატორებმა — გორის, ზუგდიდის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანოებმა მაღალ დონეზე მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება. პირველ რიგში სწორედ ამან განაპირობა სამეურნეო საქმიანობაში წარმატებანი.

მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ რაიონსა და საზოგადოებრივ მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ნაკლებად ზრუნავენ, თავიანთსავე სტაჟას ატოვებ არ სცეშენ, და წლის დასაწყისში ნაკისრი ვალდებულებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

როცა სოციშეჯიბრება გაჩაღდა რაიონების მშრომელნი ვალდებულებებს კისრულობდნენ, მაშინ ახალქალაქის, წალკის, ბოლნისის, ბგმეეკორის რაიონების ვალდებულებებში აღნიშნული იყო, რომ ხორცისა და რძის დამზადების გეგმებს თავის დროზე და გადამეტებით შეასრულებდნენ. მაგრამ ეს ასე როდი გაკეთდა. ახალციხის რაიონმა ხორცის დამზადების ცხრა თვის გეგმა 58 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 21.095 ცენტნერისა სახელმწიფოს მიჰყიდა 12.196 ცენტნერი. წალკის რაიონმა სახელმწიფოს ნაცვლად 12.700 ცენტნერისა მიჰყიდა 8.871 ცენტნერი ხორცი. ბოლნისის რაიონმა რძის დამზადების ცხრა თვის გეგმა 89 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად 20.270 ცენტნერისა სახელმწიფოს 17.967 ცენტნერი მიჰყიდა.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები დადგენილ ვადებში უნდა სრულდებოდეს, რომ ჩვენი დედაქალაქის, აგრეთვე სხვა ქალაქებისა და კურორტების მშრომელები რეგულარულად მარაგდებოდნენ ამ პროდუქტებით. ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დარჩენილი დროის მაქსიმალურად გამოყენებით ეს საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ არათუ გეგმა, არამედ ვალდებულებაც უთუოდ შესრულდეს.

ახლა სოფლად დადგა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გადამწყვეტი ეტაპი. ჩვენი სოფლის მშრომელებს შესასრულებელი აქვთ უამრავი უფრო დიდი მოცულობის სამუშაო. შემოდგომა კი არ იცდის. ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში რთველია, იკრიფება ვაშლი და სხვა ხილი, მიმდინარეობს ჭარხლის აღება. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში უკვე დაიწყო საშემოდგომო თესვა, ვენახების დამუშავება. მეთამბაქოეები კვლავ შეტეხას აწარმოებენ, ნედლეულს აშრობენ. მეკარტოფილეებსაც დიდი საზრუნავი აქვთ — იღებენ უხვ მოსავალს. მეცხოველეობის ფერმებში გაცხოველებული შრომაა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, პირუტყვისათვის იმარაგებენ საკვებს; მეცოტრუსეები. უხვი მოსავლის აღებისათვის ემზადებიან, მეჩაიეებიც ისევ პლანტაციებში არიან, კრეფენ ლაო ჩაის, ასრულებენ საშემოდგომო სამუშაოებს.

მარტო ამ სამუშაოთა ჩამოთვლაც კმარა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი მოვალეობა აკისრიათ სოფლის მშრომელებს. სწორედ ახლა, შემოდგომის ამ ცხარე დღეებში წყდება ვალდებულებათა შესრულების ბედი. რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოების, კომუნისტების მოვალეობაა საზოგადოებრივ მეურნეობებში ისე მოაწყონ შრომა, რომ სოფლის მეურნეობის უველა უბანზე წარმატებით სრულდებოდეს ვალდებულებანი, რომლებიც მათ მიმდინარე წლის დასაწყისში იკისრეს, რომ პირნათლად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობასა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

სოფლის მშრომელთა ხალდებული ამოცანა კი ის არის, რომ ახალი წარმატებით შეეგებინონ ოქტომბრის დღესასწაულს. „კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაში. —ააგალეთ მიწათმოქმედების კულტურა! იბრძოლეთ მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის!“.

დაე მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

საიუბილეო ნობათები

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ— მთავარი საზრუნავი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ტრიკოტაჟის მრავალფეროვან ნაწარმს უშვებს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი, რომელიც წელს მაღალნაყოფიერად შრომობს. შრეკინოელთა ჯამოცდილებისა და პროდუქციის ოდენფესტოდ დამზადების ახალი მეთოდის წარმოებაში დანერგვით კომბინატელებმა მიმდინარე წლის 9 თვეში მნიშვნელოვნად გადააჭარბეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმას, საგრძნობლად იყო რეკლამაციებმა. კომბინატის ნაწარმი ახლა მომხმარებელს მოსწონს, 9 თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 457 ათასი მანეთის პროდუქცია, მიღებულია ათასობით მანეთი მოგება.

საწარმოს კოლექტივი საოქტომბრო დღესასწაულისათვის ემზადება. მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითის აჩვენებენ საქმით და სამკერვალო საამქროების კოლექტივები, რომლებსაც თ. პატარიძე და გ. ლეკაკა ხელმძღვანელობენ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა, რომელიც ხუთწლედის პირმშოა, ახლა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტისა და მანქანათსამშენებლო მრეწველობისათვის 275 დასახელების რეზინის ნაკეთობას უშვებს. ამ უკანასკნელად აქ კიდევ ორი ახალი ნაწარმის — ელმავალის ამორტიზატორებისა და მილისაგნის წარმოება აითვისეს. რეზინის ახალი ნაწარმის პირველი პარტიები გაეგზავნა როსტოვის, ზაპოროჟიეს და ულან-უდეს ელმავალშემკეთებელ ქარხნებს.

ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ცხრა თვის დავალება, თვითღირებულების შემცირების გზით ათასობით მანეთი დაზოგა და 1 მილიონ 327 ათასი მანეთი მოგება მიიღო. ზეგეგმითმა მოგებამ 60 ათასი მანეთი შეადგინა.

საოქტომბრო დღესასწაულის შესახვედრად გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მოსამზადებელი და რეზინის ნაკეთობათა საამქროები, რომლებსაც ნ. ისაკაძე და ბ. ოთსელიანი ხელმძღვანელობენ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ — ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ

თბილისის № 1 თამბაქოს (დირექტორი გ. ყანჩაველი) ფაბრიკის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი ნრომითი წარმატება მოიპოვა. მეთამბაქოეებმა მიმდინარე წლის 9 თვის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,7 პროცენტით ჯაჭანადეს, რეალიზაციის მოცულობას 3,2 პროცენტით გადააჭარბეს.

მანქანა-დანადგარების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 3.6 პროცენტით აამაღლეს, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 7 ათასი მანეთით შეამცირეს. მასალებისა და ნედლეულის ყაირათიანად ხარჯვით გაზვლილ პერიოდში დაზოგეს 1,5 ტონა თამბაქო, 800 კვადრატული მეტრი ქაღალდი, 60 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ

ᲞᲘᲗᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მაღაროელი რაკონალიზატორები ღირსეულ საჩუქრებს უმზადებენ დიდ ოქტომბერს, სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

გამჩრიახი აზრის ადამიანებმა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ცხრა თვეში 229 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. აქედან მიღებულია 140, ხოლო დაინერგა 108 წინადადება. წლიური პირობითი ეკონომია 820.400 მანეთს შეადგენს. ამით რაციონალიზატორებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს წელს ნაკარაუდევი ვალდებულება.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲢᲧᲐᲕᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საიუბილეო შრომითს ვახტს წარმატებით ეწევა ბათუმის ტყავის ქარხნის კოლექტივი. აქ 9 თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ერთი მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავი.

წარმატებები ძირითადად განპირობა ახალმა სრულყოფილმა ტექნიკამ და ტექნოლოგიამ. მოკლე დროში დაამონტაჟეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს მთელი რიგი ახალი მანქანა-დანადგარები. ბათუმელი მეტყავეები დიდ ოქტომბერს ახალ საჩუქარს უმზადებენ.

ᲓᲕᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲑᲔᲥᲘ

ვაშლის მასობრივი კრეფა მიმდინარეობს ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის ბაღებში. 460 ჰექტარ ხეხილის ბაღს ფლობს ეს მეურნეობა. აქედან ნახევარზე მეტი სრულმოსავლიანია.

დვანელი მებაღეები გულმოდგინედ ასრულებენ ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას, მოვლას არ აკლებენ ვაშლის ხეებს და უხვ მოსავალსაც იღებენ. ამჟამად მათ მიიღეს 55 ცენტნერი სურნელოვანი პირველხარისხოვანი ვაშლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერისა.

სურათზე: ვაშლის კრეფა სოფელ დვანის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანდრო ბმრიძე და კოლმეურნე ლუიზა მამაგულაშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მეგობრობის, მოვიდობის ინტერესებისათვის

23 ოქტომბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან კომისიათა თავმჯდომარეები მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი. კომისიათა წევრებთან ერთად არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ი. ს. ნასრიდინოვა და ა. ა. შიტიკოვი.

სხდომა მიმდინარეობდა ბ. ნ. პონომარიოვის თავმჯდომარეობით. კომისიათა წევრებმა განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება, რომ დამტკიცდეს ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ. ეს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადასცა კომისიებს დასკვნისათვის.

საბჭოთა მთავრობის სახელით სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, თქვა მან, ხელმოწერილ იქნა 1948 წლის 6 აპრილს 10 წლის ვადით და 20 წლით გაუგრძელდა ვადა 1955 წლის 19 სექტემბერს. როცა 1970 წლის ივლისში საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ვადამდე გაგრძელებინათ 1948 წლის ხელშეკრულების მოქმედების ვადა მომდევნო 20 წლით და ხელმოწერილ იქნა შესაბამის ოქმში. ოქმი ითვალისწინებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის შემდგომ ავტომატურ განგრძობას ხუთ-ხუთი წლით, თუ ხუთწლეულის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე არც ერთი მხარე არ შეიტანს წერილობითს გაფრთხილებას, რომ განაცხადოს აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ბ. ი. პოპოვი — სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. ზიმანინისი — ლატვიის კომპარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სამეზის საბჭოთა კავშირის გმირი ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ა. ი. პოპოვიჩინი, აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ვ. ნ. ფურსანი — გომელის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის მეჩიდელი.

ბ. ნ. პონომარიოვმა მეადამა განხილვის შედეგები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომისიათა ყველა გამოსულმა წევრმა ერთსულოვნად მოიწონა ოქმი სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების 22 წელი, თქვა ორატორმა, აღინიშნა ჩვენი ქვეყნების ფართო თანამშრომლობის განვითარებით სულ სხვადასხვა დარგში. ამას წინათ რატიფიცირებულია საბჭოთა კავშირ-ფინეთის ახალი გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს საქონელბრუნვის შემდგომ ზრდას 1971 და 1975 წლებს შუა პერიოდში, დაიდო შეთანხმება ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილია კონტრაქტები, რომელთა თანახმად, სსრ კავშირი მონაწილეობას მიიღებს ფინეთის პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში, ხოლო ფინეთი ჩვენს ქვეყანას მოაწვდის მძლავრ ყინულმჭრელებს; განიხილავენ სსრ კავშირიდან ფინეთში ბუნებრივი გაზის მიწოდების საკითხებს და ბევრ სხვა ერთობლივ პროექტს. ეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, ისევე როგორც თვით 1948 წლის ხელშეკრულება, გვიჩვენებს, რომ ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა ორივე სახელმწიფოს ძირეული ინტერესები, ცხადყოფს მათს მტკიცე გადაწყვეტილებას თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაგრძელებას უწოდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი არა ჩარმო ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო ურთიერთობისთვისაც და უწინარეს ყოვლისა ევროპაში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის.

1948 წლის ხელშეკრულება, აღნიშნა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა, იმის მკაფიო შედეგია რომ ჩვენი ქვეყანა პრაქტიკულად თანმიმდევრულად ახორციელებს საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს. იგი თვალნათლივ ცხადყოფს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ ლენინური მოძღვრების ცხოველმყოფელობას.

შემდეგ თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. ნ. პონომარიოვი კენჭი უყარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების დასკვნას სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

დასკვნა განხილულ საკითხში მიღებულია ერთხმად.

კომისიათა ყველა წევრმა ერთსულოვნად ურჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ოქმი საბჭოთა კავშირ ფინეთის ხელშეკრულების ვადის განგრძობის შესახებ. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნ. ვ. კუჩერენკოს

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის, წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს სოხუმის სამოქალაქო ავიაციის აეროპორტის ან-24 თვითმფრინავის ბორტგამყოლი ნადეჟდა ვლადიმერის ასული კუჩერენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ბ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.

1970 წ. 23 ოქტომბერი.

პრქიტექტორთა V სრულიად საკავშირო ყრილობა

23 ოქტომბერს არქიტექტორთა V სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წესდების ახალი რედაქცია.

ერთხმად მიღებულ იქნა ყრილობის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ყრილობას მიაჩნია, რომ არქიტექტურისა და მშენებლობის ხარისხის ამაღლება ამ ყველა არქიტექტორთა, დამპროექტებელთა, მშენებელთა და საშენი მასალების მრეწველობის მუშაკთა მთავარი ამოცანაა.

საბჭოთა არქიტექტორებს თავიანთ უპირველეს საქმედ მიაჩნიათ ფართო მონაწილეობა მიიღონ კომუნისტთა ლენინური პარტიის ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ხაყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში და ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ახალი მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ ამ ყრილობას“.

დელეგატებმა აირჩიეს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ამით არქიტექტორთა V სრულიად საკავშირო ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

ამავე დღეს გაიმართა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია გამგეობის სამდივნო 40 კაცის შემადგენლობით.

სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად არჩეულია **გ. ვ. ორლოვი**, გამგეობის მდივნად — **ვ. ნ. ბელოუსოვი, ი. ვ. შიშკინა.** სამდივნოს შემადგენლობაში შედიან აგრეთვე შემოქმედებითი კომისიების ხელმძღვანელები, არქიტექტორთა კავშირის რესპუბლიკურ გამგეობათა თავმჯდომარეები, სახელმწიფო კომიტეტების წარმომადგენლები, თვალსაჩინო არქიტექტორები.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **ა. თ. შაროვი.**

(საკდესი).

ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით მოსკოვში იყო ინგლისის, ბელგიის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, ვენესუელის, კუბის, პერუს, ჩილეს, გვინეის, სამხრეთ აფრიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის დელეგაციები და სხვა მონაწილე ქვეყნების თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში ტუმბრები შეხვედნენ მშვიდობისათვის საბჭოთა მოძრაობის წარმომადგენლებს. მეგობრული საუბრის დროს მათ აზრი გაუზიარეს ერთმანეთს ინდოჩინეთში ამერიკის აგრესიის შეწყვეტისათვის, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენისათვის, ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლაში ერთობლივი მოქმედების აქტუალურ საკითხებზე.

(საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ი. ხარებავას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დიდებული ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. ვახტანგ თევნის-ძე ხარებავა დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბატო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბაბაჯანიძე.

თბილისი,

1970 წლის 23 ოქტომბერი.

საქდესის ცნობა

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲖᲝᲜᲓ-8“ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲝᲬᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ სადგური „ზონდ-8“ ფრენას განაგრძობს. დედამიწა-მთვარის ტრასაზე ფრენის დროს საბჭოთა კავშირის საკომანდო-ადაზომი კომპლექსის რადიოლოკაციური საშუალებები და ობსერვატორიათა ოპტიკური საშუალებები განსაზღვრავდნენ სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრებს.

დასახული პროგრამის შესაბამისად 1970 წლის 21 ოქტომბერს მოეწყო დედამიწის ფოტოგრაფირების სეანსი 65 ათასი კილომეტრი მანძილიდან. ფრენაჲ პირველი სამი დღეღამის განმავლობაში სადგური კავშირის სეანსების დროს გადმოსცემდა დედამიწის სატელევიზიო გამოსახულებებს. სატელევიზიო გამოსახულებათა ხარისხი კარგია.

22 ოქტომბერს 9 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით, რიცა სადგური 250 ათასამდე კილომეტრით იყო დაშორებული დედამიწას, მოეწყო მისი მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია. ამ მანევრის შედეგად „ზონდ 8“ ავტომატურმა სადგურმა შეცვალა მოძრაობის მიმართულება და 24 ოქტომბერს შემოუფრინა მთვარეს მისი ზედაპირიდან მინიმალურ მანძილზე, რაც 1120 კილომეტრს უდრიდა. ამ ეტაპად ავტომატური სადგური „ზონდ-8“ დედამიწას უახლოვდება.

მთვარის რაიონში სადგურის ფრენის დროს მიმდინარეობდა მთვარისორგანული კოსმოსური სივრცის ფიზიკური მახასიათებლების მეცნიერული კვლევა. აგრეთვე წარმოიდგა მთვარის ზედაპირის ფოტოგადაღება ფერად და შავ-თეთრ ფირზე.

ფრენის მართვის ცენტრს მყარი რადიოკავშირი აქვს ხადგურთან. „ზონდ 8“ სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

მსოფლიო დღეს

24 ოქტომბერი

ᲛᲝᲒᲐᲓᲘᲨᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲝᲛᲐᲚᲨᲘ

ᲛᲝᲒᲐᲓᲘᲨᲝ. 24 ოქტომბერი, (საკდესი). რესპუბლიკის დედაქალაქს ეცნობოდნენ საბჭოთა პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი. დელეგაცია სომალის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა სომალის რევოლუციის პირველი წლისთავის დღესასწაულზე. საბჭოთა სტუმრები იყვნენ რძის ქარხანაში, საშუალო სკოლაში, სახელმწიფო სტამბასა და ეროვნულ ისტორიულ მუზეუმში.

სსრ კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობით აშენებული მოგადიშოს თანამედროვე რძის ქარხანა ახალგაზრდა რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოო საწარმოა. მუშათა და ტექნიკოსთა სახელით, რომელთაგან ბევრმა სსრ კავშირში გაიარა ტექნიკური მომზადება, ქარხნის დირექტორმა ლობახმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას უანგარო დახმარებისათვის.

სომალის ეროვნული გმირის მოჰამედ აბდულა ჰასანის სახელობის საშუალო სკოლა ყვავილებით შეხვდა საბჭოთა დელეგაციის წევრებს. მოსწავლეები რუსულ ენაზე მიესალმნენ სპატიო სტუმრებს.

ᲙᲐᲘᲠᲝ

ᲐᲜᲕᲐᲠ ᲡᲐᲓᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲗᲕᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ. 23 ოქტომბერი. (საკდესი). პრეზიდენტ ნასერის სიკვდილის შემდეგ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მტრები ცდილობენ ლახვარი ჩასცენ ქვეყნის შინაგანი ფრონტის ერთიანობას, რომ გამოიწვიონ მოსახლეობის უკმაყოფილება ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მთავრობის მოქმედების გამო და ამით შეასუსტონ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა. ეს განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა გუშინ ქვეყნის პროვინციების გუბერნატორთა წინაშე გამოსვლისას.

მიმართა რა მათ, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ადმინისტრაციულმა აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს იმას, რომ სწრაფად და ეფექტიანად დაკმაყოფილოს მოსახლეობის საჭიროებანი.

ანვარ სადათმა რწმენა გამოთქვა, რომ ყველა დამსწრეს ნათლად ესმის ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა და ძალღონეს არ დაიშურებენ მისი შესრულებისათვის.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐᲨᲘ

ᲤᲝᲠᲢ ᲚᲐᲓᲘ, (საკდესი). გუშინ ნიგერიაში გამართულმა პარლამენტის არჩევნებმა გამარჯვება მოუტანა მმართველი პროგრესული პარტიის კანდიდატებს. როგორც ნიამეიდან იუწყებიან, კენჭისყრის წინასწარი შედეგების თანახმად 87 პროცენტზე მეტმა ამომრჩევლმა ხმა მისცა ეროვნული კრების დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც ნიგერიის პროგრესულმა პარტიამ დაასახელა.

ᲒᲝᲛᲑᲘ — ᲑᲘᲜᲐᲨᲘ

ᲡᲐᲜ-ᲮᲝᲡᲔ. (საკდესი). კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტიის გენერალური მდივნისა და საკანონმდებლო კრების დეპუტატის მანუელ მორა ვალვერდეს სახლში შეიგდეს ცრემლსადენგაზიანი ბომბი. რეაქციული ძალების ამ მტრულ აქტამდე რამდენიმე საათით ადრე მან მკვეთრად გააკრიტიკა ულტრამემარჯვენე ელემენტები, რომლებიც ეწევიან ანტისაბჭოურ ჯუმბანოს და ცდილობენ ჩაშალონ კოსტა-რიკისა და სსრ კავშირის სავაჭრო შეთანხმება, რომელიც საკანონმდებლო კრებამ დაამტკიცა.

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲣᲤᲔᲕᲔᲜ

ᲚᲐᲢᲕᲘᲐ, (საკდესი). მოწინააღმდეგენ 7.800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოიყვანეს მწყობრიდან წელს სეკტემბერში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მდინარე მეკონგის დელტის დასავლეთ ნაწილში მოქმედმა რაზმებმა.

ᲖᲐᲛᲑᲘᲘᲡ 6 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲚᲣᲡᲐᲙᲐ. (საკდესი). დღეს ზამბიელი ხალხი საზეიმოდ ვითარებაში აღნიშნავს დამოუკიდებლობის მეექვსე წლისთავს. ამ წლების მანძილზე ქვეყანამ შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

ᲔᲡᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲮᲣᲜᲢᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები პარიზს შეუდგეს საბერძნეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოდერნიზაციის პროგრამის შესრულებას. შემშავებული პროგრამის თანახმად ვაშინგტონი აბარებს მისცემ ათენის ხუნტას სპეციალური სესხი, რათა შეერთებული შტატებისაგან შეიძინოს ოთხი წლის განმავლობაში გემები თავისი სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

Დ. Ს. ᲞᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲡᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ

ᲛᲝᲒᲐᲓᲘᲨᲝ. 24 ოქტომბერი. (საკდესი). აქ სომალის ეროვნული რადიოთი გამოვიდა სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წლისთავის გამო გამართული ზეიმის მონაწილე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი.

მოხარული ვართ, თქვა დ. ს. პოლიანსკიმ, რომ შესაძლებლობა მოგვეცა მისალმების სიტყვებით მივმართოთ და ყოველივე საუკეთესო ვუსურვოთ სომალიელ ხალხს სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წლისთავის გამო. 1969 წლის ოქტომბრის რევოლუციური ამბები შემომტრონების პუნქტია თქვენი სამშობლოს ისტორიაში.

სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ფართო მასებისათვის ახლოპლანი და გასაბედა მიზნები, რომლებიც თავის პროგრამაში დათორმეულა ახალმა რევოლუციურმა მთავრობამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, სომალის ეროვნული შეილისა და მგზნებარე პატრიოტის, უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტის სიად ბარის მეთაურობით. საბჭოთა ადამიანები სრული გულებით ეკიდებიან და მზარს უჭერენ თქვენს განზრახვას სამეურნეო მეოთოთ ბოლო კოლონიური წარსულისაგან მეტკეცდრეობად მიღებულ ჩამორჩენილობას.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲨᲘ

სანტიაგო. 23 ოქტომბერი. (საკდესი). ჩილეს შეიარაღებული ძალების მთავარ სარდალზე რენე შნაიდერზე თავდასხმამ გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია ქვეყანაში.

გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ ეროვნული თავდაცვის მინისტრის სერხიო ოსა პრეტოკის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლის გენერალ კარლოს პრატისა და ჯარების გვარეობათა სარდლების ერთობლივ განცხადებას, რომელიც საგანგებო თათბირის შემდეგ გააკეთეს.

განცხადების ავტორებმა დაგმეს გენერალ შნაიდერზე თავდასხმა და განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ ეს ტერორისტული აქტი მიმართულია მთელი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რეაქციის ვერავითარი პროვოკაციები ვერ დაარღვევენ ხარმიას კონსტიტუციას და ჩილეს შეიარაღებული ძალები თავიანთი კონსტიტუციური მოვალეობის ერთგული იქნებიან.

სენატის თავმჯდომარემ თომას კაბლომ თავის გამოსვლაში სენატში აღნიშნა, რომ „რეაქციის ვერავითარი ბოროტმოქმედებანი ვერ შეგვიშლის ხელს შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და კონსტიტუციურ ფარგლებში ავირჩიოთ პრეზიდენტი“.

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ბენსამინ პრადომ ეროვნული რადიოთი ილაპარაკა თავისი პარტიის პოზიციაზე, რომელიც უკავია მას ახალ პირობებში. პრადომ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებზე 24 ოქტომბერს ეროვნულ კონგრესში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 75 პარლამენტარი ხმას მისცემს სალვადორ ალიენდეს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲐᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. (ᲒᲐᲖᲗᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲨᲐᲕᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ: — ᲣᲠᲘᲒᲝᲓ ᲨᲔᲡᲔᲚᲔ, ᲣᲠᲘᲒᲝᲓ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲠᲝᲓᲘ ᲣᲨᲕᲔᲑᲔ...

ᲜᲐᲮ. Ი. ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲨᲘ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

„ᲜᲘᲣᲘᲡᲥᲔᲘᲚᲘᲡ“ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

„ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ამერიკის ხელმძღვანელები სულ უფრო აშკარად იცავენ ისრაელ ექსტრემისტებს, რომლებიც უარყოფენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმებს“.

„ᲠᲐᲑᲝᲩᲜᲘᲩᲔᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲚᲝ“ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ

„ბანდიტ მკვლელთა ბედი მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სასამართლო ორგანოების კომპეტენციას უნდა ექვემდებარებოდეს“

„ᲓᲔᲘᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

„ინგლისის მთავრობას „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაახლოს იარაღის მიწოდება სამხრეთ აფრიკისათვის იმ ზეგავლენის მიუხედავად, რასაც აფრიკისა და აზიის ქვეყნები — ერთა თანამეგობრობის წევრები ახდენენ ინგლისზე.

„ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲞᲝᲡᲢᲘ“ — ᲐᲨᲨ

„ისრაელი დამატებით მიიღებს „ფანტომის“ ტიპის 18 რეაქტიულ ავიაგამანადგურებელ ბომბდამშენს, აგრეთვე „მე-60“ ტიპის 200 ტანკს. ტელ-ავივისათვის ვაშინგტონის მიერ მიცემული ტანკები და თვითმფრინავები, მხოლოდ ნაწილია გარიგებისა, რომელიც ოთვალისწინებს ისრაელისათვის 500 მილიონი დოლარის ამერიკული იარაღის მიწოდებას“.

„ᲘᲝᲛᲘᲣᲠᲘ“ — ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

პრემიერ-მინისტრ სატოს გამოსვლამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიაზე ნიუიორკში ვერ დაამშვიდა სხვა ქვეყნები, რომლებსაც ეშინიათ იაპონიაში მილიტარიზმის აღორძინებისა“.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 25-ე სესიის საიუბილეო ნაწილის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი.

თუმცა თავისი სიტყვის დასაწყისში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აკეთებს „არა რიტუალურ, არამედ რეალისტურ განცხადებას“, დ ილაპარაკობს „არა აუხდენელ ოცნებებზე, არამედ განსახორციელებელ საქმეებზე“, მის სიტყვას ბევრ რამეში დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა.

რ. ნიქსონმა თქვა, რომ „მსოფლიო ჩვენს დროში სრულიადაც არ არის ისეთი; როგორის იმედიც ჰქონდათ 25 წლის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამაარსებლებს. ქვეყნების თანამშრომლობა სასურველია ბევრად უკეთესი იყოს“. შემდეგ ნიქსონმა აღნიშნა, რომ „ცენტრალური საკითხი — მშვიდობის საკითხი — მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული დიდი ატომური სახელმწიფოების ურთიერთობის ხასიათთან“, და შეეხო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა „უკუაგდონ ძალის პოლიტიკის ძველი ჩვევები“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს „ჩვევები“, სწორედ შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა, რომელიც ცდილობს გამოიყენოს და, მისი ოფიციალური წარმომადგენლების ამასწინანდელი განცხადებების თანახმად, კიდეც აპირებს გამოიყენოს შემდგომში ეს გაკოტრებული პოლიტიკა.

რ. ნიქსონმა დაახასიათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა და განაცხადა, რომ „შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეტად ღრმა და პრინციპული უთანხმოებანია“.

ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჩამოთვალა თექვსმეტი, რომლებსაც მისი აზრით, შეუძლიათ შეჭრომლობა სასურველია ბევრად უკეთესი იყოს“. შემდეგ ნიქსონმა აღნიშნა, რომ „ცენტრალური საკითხი — მშვიდობის საკითხი — მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული დიდი ატომური სახელმწიფოების ურთიერთობის ხასიათთან“, და შეეხო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა „უკუაგდონ ძალის პოლიტიკის ძველი ჩვევები“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს „ჩვევები“, სწორედ შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა, რომელიც ცდილობს გამოიყენოს და, მისი ოფიციალური წარმომადგენლების ამასწინანდელი განცხადებების თანახმად, კიდეც აპირებს გამოიყენოს შემდგომში ეს გაკოტრებული პოლიტიკა.

რ. ნიქსონმა დაახასიათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა და განაცხადა, რომ „შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეტად ღრმა და პრინციპული უთანხმოებანია“.

ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჩამოთვალა თექვსმეტი, რომლებსაც მისი აზრით, შეუძლიათ შეჭ-

ᲥᲠᲔᲥᲚ-ᲥᲠᲔᲥᲚᲘ

ᲐᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ გათხრების დროს, პოლონეთის პატარა სოფელ ველიუნეს მახლობლად, ნახეს რამდენიმე მუჭი მარცვალი. სპეციალისტების აზრით, ისინი ათას წელზე მეტი ხნისა არიან. მარცვლები ერთ-ერთ გათხრილ სამარხში ეწყო. ექსპერტები ჯერ არ შეთანხმებულან, თუ რომელ მცენარეს ეკუთვნიან ისინი. ერთი მათგანი მიწათმოქმედების საცდელ სადგურში წაიღეს და დათესეს... მარცვალი გაღვიძდა. თუ ნათესმა განაგრძო ზრდა, ნათელი გახდება, რისი თესლი მოხვდა შემთხვევით ათასი წლის წინათ სამარხში.

ᲡᲐᲭᲐᲚᲓᲠᲐᲥᲝ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ

ᲚᲐᲘᲤᲪᲘᲒᲘᲡ ოლქის სოფელ შტრიობენკის სკოლის 5-8 კლასის პროგრამაში შეიტანეს ახალი საგანი — ჭადრაკი.

ამ უძველესი თამაშისადმი ინტერესი ამ სოფელში შემთხვევითი როდია. ჭადრაკს აქ XI საუკუნიდან თამაშობდნენ. სოფლელთა პირველი მაუწყებელი ვინმე ვინმე გრადი იყო, რომელიც ჩაკვიდ იყო ამ ადგილებში და ჭადრაკის დიდი მოყვარული ყოფილა. სწორედ მან შეიტანა ადგილობრივ მცხოვრებლებს თამაში.

ჭადრაკი აქ ისევდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს „მოჭადრაკეს“ სახელწოდება მიუკოფიენს.

უძველესი თამაში აღიარებული ატრიბუტია ყველა ზეიმისა და ქორწილისაც კი. ტრადიციის მიხედვით სიძემ სიდედოფლო უნდა „მოიგოს“ — პარტია უნდა ითამაშოს სოფლის ბურგომისტრთან. თუ წაგო, სოფლის თემში გარკვეულ ფულად ჯარიმას შეიტანს.

ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ უხუცესი ბრაზილიელი ქალი (ეს ცნობები გამოქვეყნდა მომდინარე წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ) არის გლისერია ფერეირა და სილვა ქალაქ მონტეირუდან (პარაიბას შტატი). მას 125 წელი შეუსრულდა. როგორც პრესა იტყობინება, უხუცესი ქალი არ უჩივის ჯანმრთელობას და საკმაოდ იოლად ართმევს თავს საშინაო საქმიანობას, ბევრს კერავს, ძაფს ნემსში საოთვალეს დაუხმარებლად უყრის. გლისერიას მეკავს უმცროსი და, რომელსაც ამას წინათ 116 წელი შეუსრულდა.

კითხვაზე, „რას გააკეთებდით, ცხოვრება რომ თავიდან დაგეწყოთ“, გლისერიამ უპასუხა: „უპირველეს ყოვლისა წერა-კითხვას ვისწავლიდი“.

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ

ერთხელ სამუშაოდ მიმავალმა პიენმარკელმა რადაც ნივთი შენიშნა გზის პირად. ეს ნივთი თქრეს მძიმე სამაჯური აღმოჩნდა.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სამაჯური იშვიათი ნამუშევარია და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე ან მეშვიდე საუკუნის განეკუთვნება. მისი წონა 1.300 გრამია. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ იგი ალბათ ახლომდებარე აკროპოლში ინახებოდა, რომელიც სათანადოდ არ იყო შესწავლილი ჩვენი საუკუნის დასაწყისში წარმოებული გათხრების დროს.

სამაჯური დიონის მუზეუმმა (საფრანგეთი) შეიძინა, როგორც ვიზეთი „მონდი“ იტყობინება, სოფელ რობეპოსთან ნახული ეს სამაჯური უნიკალური ნაპოვნია. აქამდე საფრანგეთს არ გააჩნდა ასეთი უძველესი დროის თქრის სამკაული.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲮᲐ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ

ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲠᲔᲚᲛᲐ მეგობრებმა საფრანგეთის ქალაქ ლიონიდან სეფრონისა თუ გართობის დროსაც ერთად ყოფნა გადაწყვიტეს. მან საკუთარი ძალებით დააპროექტეს და ააგეს მრავალფეხა ველოსიპედი, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ.

მეგობრებს გადაწყვეტილი აქვთ შორეულ მოგზაურობაში გაემგზავრონ.

ᲗᲐᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐᲗ

ᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ როდი აღიარებენ მათ მიერ შექმნილი იმ პროპაგანდისტული მითის გაკოტრებას, რომ სსრ-ელი „ყველა ებრაელის სამშობლოა“, რომელნიც თითქოს მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ იქ, „აღთქმულ ქვეყანაში“ გადასახლდნენ. მაგრამ მითების შემქმნელთ სულ უფრო უჭირთ ფაქტების დამახინჯება, და ძალუნებურად ანგარიში უნდა გაუწიონ მათთვის არასელსაყრელ რეალობას. ამ მითის გაკოტრების ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისრაელის ულტრასიონისტური რეაქციული გაზეთ „მაარივში“ გამოქვეყნდა სტატია „ᲘᲛᲐᲗᲗᲖᲔ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ეს სტატია, რომელიც დაწერილია ეკონომისტი ᲔᲚᲘᲐᲖᲐᲠ ᲝᲤᲩᲐᲢ ᲔᲚᲘᲐᲒᲝᲜᲘᲡ მიერ, მიზნად ისახავს ცილი დასწამოს საბჭოთა კავშირს და იმ იმიგრანტებს, რომლებიც სიონისტურ პროპაგანდას რომ ამყვნენ, ისრაელში წამოვიდნენ, ახლა კი მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ როგორმე დაბრუნდნენ თავიანთ ნამდვილ სამშობლოში, სსრ კავშირში. სტატიის ავტორი სწერია რამდენიმე ახალი ოჯახს (ალბათ საიდუმლო პოლიტიკური პოლიციის შინ-ბიტის აგენტების თანხლებით), რათა იცადა დაერწმუნებინა ისინი არ დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში.

რას არ შეხვდება ამ სტატიაში! სრულიად დაუფარავად მუქარასაც იმათ მიმართ, ვისაც დაბრუნება სურს, ყოველნაირ დაპირებებსაც (მისაკუთრებლად), რომ „პროტექციას“ გაუწევს, და აშკარა ბრალდებებსაც კი, რომ ეს ადამიანები „უმადურნი“ აღმოჩნდნენ და გონზე არ არიანო.

კაცმა რომ თქვას, რამ აიძულა „მაარივის“ ტიპის გაზეთი წეროს იმ იმიგრანტების მძიმე ბედზე, რომლებმაც ახლა სსრ კავშირში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს? საქმე ის არის, რომ ისრაელში ეს იმდენად ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, რომ სიონისტური პროპაგანდა იძულებულია თავისებური „ახსნა-განმარტებანი“ გამოვიდეს.

მაგრამ მოდით ცოტა დაწვრილებით შევეხოთ იმ პასუხებს, რომლებიც ოფრად ელიაგონმა და მისმა კომპანიონებმა მიიღეს თავიანთი ვიზიტების დროს მიცემულ კითხვებზე. აი ერთი მათგანი, რომელიც გვიხატავს იმიგრანტების ოჯახის ტრაგედიას. „რა გითხრათ? — უპასუხა ეურნალისტს თვალცრემლიანმა ხანშიშესულმა ქალმა, რომელიც დაბინავებულია ტროფეოლორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის ახლად აგებულ სახლში. — ძალიან მინდა დავბრუნდე შინ. იქ, რიგაში, დამრჩა კიდევ ერთი ქალიშვილი და შვილიშვილები. ვცხოვრობდი კარგად მოწყობილ ბინაში, სადაც ცხელი წყალი და ცენტრალური გათბობა იყო, და ყოველივე ამაში „ცოტას ვიხდიდი“.

ხოლო აი ამ ხანშიშესული ქალის ქალიშვილის სიტყვები: „დიახ, რა თქმა უნდა, მართალია, რომ ტელ-ავივში კარგი ბინა მივიღეთ. მაგრამ ჩვენ ახლა ყველამდე ვალებში ვართ, და ეს ვალები არ ცლიბულობს. ყოველდღე ახალი ვალები: ხან — ბინის ქირის მორიგი შესატანი, ხან — ელექტრობის ქირა, ხან — წყლის ფული, ხან — ერთი გადასახადი, ხან — მეორე, ხან ვალი ისრაელში ჩამოსვლისათვის (თუმცა მისი ნაწილი რიგაშივე გადავიხადეთ), ხან კიდევ ანგარიშში რადაცის გადასახდელად, რისთვის — თვითონაც არ ვიცი. ყოველდღე მოდის ახალი ანგარიშები, ხოლო ანგარიშებთან ერთად იმის საშიშროებაც, რომ სასამართლოს წინაშე წარვსდგე, თუ დროზე ვერ გადავიხადე“.

სამშობლოში, რიგაში, თვითონ მას და მის ქმარს გარანტირებული ჰქონდა კარგად ანაზღაურებული სამუშაო ჰქონდათ. ისინი ერთად თვეში 400-500 მანეთს იღებდნენ. მათი ვაჟიშვილი პიანინოს დაკვრას სწავლობდა. ეს პიანინო ისრაელში ჩამოიტანეს და შემდეგ იძულებული გახდნენ პრაქტიკულად ჩალის ფასად გაეყიდათ, რომ ვალების ნაწილი გაეტანებინათ და როგორმე თავი დაეჩრჩინათ. ისრაელში მათ სულ ერთია არ შეუძლიათ გადაიხადონ შვილის ძვირად ღირებული გაკვეთილების სთვისურო. ქმარი, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვი, რიგაში კარგი სამუშაო ჰქონდა, ისრაელში თავის სპეციალობაზე ვერ მოეწყო და იძულებული გახდა მტვირთველად დაეწყო მუშაობა. ხელფასი, რასაც ყოველგვარი გამოქვითვების შემდეგ იღებს, ძლივს ჰყოფნის თავის სარჩენად. სამუშაოდან რომ დაბრუნდები, ისე დაქანცულია, რომ ფეხზე ვეღარ დგება, კრინტის დაძვრა ალარ შეუძლია.

„ᲔᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲐᲠ ᲠᲘᲡ!“ — ამბობს მისი მეუღლე. ახალგაზრდა ქალი ძალიან ნანობს, საბჭოთა კავშირის დატოვება რომ გადაწყვიტა, და თავის თავს აყვედრის, ქმარი რომ დაიკერა დაეტოვებინა რიგა.

ინტერვიუში მოხსენებულია ცოლ-ქმარი ჩრდილოეთ ისრაელის სოფლიდან, რომლებიც ეურნალისტს სასაუბროდ „მიუწვიეთ“ ტელ-ავივში. ამ ცოლ-ქმრისაც შეუტანია განცხადება, რომ სურვილი აქვთ დაბრუნდნენ შინ. საბჭოთა ელჩისთან, საიდანაც წამოვიდნენ, სიონისტური პროპაგანდის ანკეტაზე რომ წამოეგნენ

— „კაცო“ — წერს ო ელიაგონი,—„პროფესიით პარიკმახერია, ეაზხეთში ხაძმოს შოოლობდა და პატივისცემით სარგებლობდა თავისი მუშაობისათვის. აქ კი რეზეინოდა გულახდილად ეთქვა ჩემთვის, რომ ფული, რასაც ისრაელის სოფელში საკუთარი პარიკმახეროდან იღებს, ძლივს ჰყოფნის საჭმელში.

მისმა მეუღლემ ეურნალისტს უთხრა, რომ თავდაპირველად რომინეთში ცხოვრობდნენ. ხოლო ოცდაათიოდე წლის წინათ ეაზხეთში დასახლდნენ. თავიანთი სახლი ჰქონდათ (გაზეთს რატომღაც ავიწყდება ეთხრას თავის ეროვნებაზე). ეაზხეთში ებადნენ ორ ბავშვს. ეაზხეთ-ისრაელის ომი დაბრუნებულ ბავშვებს ერთ-ერთ ბრძოლაში ერთ-ერთ ბრძოლაში ერთ-ერთ ბრძოლაში ... ეს ... ეს ... ეს

50.000.000

ჯყე და ქართველი კაცი

ნ. კეცხოველი

ორიალეთზე, ჭივჭავის ხევიდან ძველ სამშვილდეში რომ ახვალ, იქვე, გზის პირას, საფლავის ქვა დგას. დიახ დგას, ცხენის ქანდაკებაა ლამაზი, ცალ მხარეს ამოკვეთილია ხმალი, ფარი, ხანჯალი თოფი, საპირისწამალი, მეორე მხარეს მხედარი, გვერდით სალვინე, ფიალა, სალამური, ჩონგური, მწყემსის ჯოხი.,, სოფელ გოხარეთის ძველ სასაფლაოზე კი ერთ უზარმაზარ ლოდზე ამოქანდაკებულია მშვენიერი ვაჟკაცი, ფეხთით უწევს ჭეფილა, ქვის ცალ გვერდზე კი ამოჭრილია მწყემსის ჯოხი, თოფი, ხმალი, მეორეზე — გუთანი, ნამგალი, სალვინე, ჩონგური... მანგლისის ტაძრის ეზოში, კარიბჭესთან, საფლავის ქვაზე ამოკვეთილია გაშლილი გუთნეული რვა უღლით...

მთელი საქართველო მოფენილია ასეთი საფლავის ქვებით, და აი ამ პატარ-პატარა ქანდაკებებში ნათლად ჩანს ქართველი კაცის უტეხი ნებისყოფა, შემართება, შრომის სიყვარული, სიყვარული სიცოცხლისა და თავისუფლებისა; შრომობდა, მიწას ებრძოდა, შვილებს ზრდიდა, ქვეყანას იცავდა და როდესაც დროს ნახავდა, სალამურს აბარკაკებდა, ჩონგურის სიმებს აალღერებდა და თავის ნაოფლარით გემრიელ და ალალ პურს ჭამდა. უხაროდა, რომ ცოცხალი იყო, რომ ომი გადაიტანა, ქვეყნიდან მტრის განდევნაში მონაწილეობა მიიღო, სისხლიც დაღვარა და სამშობლოს გატიალების უფლება არ მისცა მტრის ურდოს.

ძნელია ითქვას, რა უხაროდა — ის, რომ ცოცხალი იყო, თუ სამშობლოს თავისუფალს რომ ხედავდა. ერთიც და მეორეც. თავის სიხარულს სხვასაც უზიარებდა, ამიტომაც იყო გულღია და სტუმართმოყვარე.

ეს ან როგორ არ დაეცვა თავისი სამშობლო, ლამაზი და ბარაქიანი, რომელიც დედის ძუძუსავით უყვარდა, უყვარდა იმისათვის, რომ თუ იგი კაცად იხსენებოდა, სწორედ ამ სამშობლოს წყალობით. მართალია, ადამიანის ხასიათის და კაცად ჩამოყალიბებაზე მარტო ბუნება არ მოქმედებს, მაგრამ ბუნება ერთ-ერთი ფაქტორია, და ძირითადი ფაქტორიც. ბი გადაგვლილთ თვალი თუნდაც ჩვენს ქვეყანას. გურული კრიმანჭული — ეს საოცრება ხალხური სიმღერისა. შეიძლებოდა წარმოშობილიყო კოპწია, მოხატული გურიაში; კახური მრავალფეროვანი კი — ალაზანის ხევის დაუსრულებელ ვაკეზე, რომელსაც თოვლიანი მთები დასაქერქრის; სვანური ლიღვ — უშბის კალთების მყინვარებზე, მჩქეფარე დოლრასა და ენგურის ნაპირებზე, ლილეკ ხომ ისეთივე მჩქეფარეა, როგორც ამ მხარის ზვიადი ბუნება;

და არა მარტო ჩვენს სიმღერაში გამოხატა ჩვენი ქვეყნის ბუნება, არამედ თვით ქართველი კაცის მთელ ბუნებაშიც; იგი ხომ გულღია და გულმართალია, პუმარჩილიანი და სტუმართმოყვარე, მხიარული, მშრომელი, მაგრამ „თუ გაჯირდება, მჭიხარი“. სწორედ ამ ხასიათმა მოიტანა საქართველო დღევანდელ დღემდე, და მეოცე საუკუნის მანძილზე მოწინავე კაცობრობასთან ერთად, პირნათლად ასრულებს ადამიანის ფიდან დანიშნულებას, ქვეყანას თვალს თამამად უსწორებს. ამ საუკუნისა ქართველ კაცს არა მართებს რა.

რათ ვლაპარაკობ დღეს ამაზე? ქართველი კაცი ერთ-ერთ ნიჭიერ, ლამაზ, შრომისმოყვარე, ხელოვნების ტრფიალ კაცად ითვლება. ასეთის ჩამოყალიბებაში ჩვენი ქვეყნის ბუნებასაც მიუძღვის წილი, და მაშასადამე, ტყესაც და მდელოსაც, რადგან მცენარეული საფარი ბუნების უპირველესი და მნიშვნელოვანი ნაწილია: იგი ინახავს წყალს ნიადაგში, იცავს ნიადაგს ეროზიისაგან (მაშასადამე, ჭვიანის დოღლათსა და სიმდიდრეს). ძაბის ზომიერებას და ჯურორჯრების სიმდიდრეს, ხელს უწყობს მარცრიალური ღირებულების დაგროვებას.

რა იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, რომ მთის ფერდონი ტყით არ ყოფილიყო დაფარული (ტყე მცენარეულ საფარს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ხვიანია)? უტყეოდ საქართველო საქართველო არ იქნებოდა, არც ქართველი იქნებოდა ქართველი, და სწორედ ამიტომაც არის ჩვენი მცენარეული საფარი (ტყე და მდელო) ძვირფასი ნატერის თვალი, ამიტომაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ თვალისჩინივით და მერე ასეა?

წარსულმა მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მრავალგან განადგურდა ტყე.

ჩვენმა წინდაუხედაობამ ტყეს ხვირი არც უკანასკნელ ხანში, მეოცე საუკუნეში, დაადენა. ბარად მოისპო ჯაჭვლის ტყეები, მთის ფერდობებზე მოვსპეთ პირველ რიგში მუხნარები, რადგან მთის ფერდონი სწორედ მუხნარით იწყება, სოფელთანაც ახლოა. ამავე დროს მუხის მერქანი ძველი სახლების, ოდებისა თუ დარბაზების ასაგებად ყველას ჯობდა. ამიტომ საქართველოში საძებარია კარად გაზრდილი, სწორი. ჭოჩორ-ჯავარიანი მუხა მუხის ქვეყანაში მუხა საძებარი გვქონდეს?!

ჩვენში, მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის კარად შენახული ძელქვის ტყეები გვქონდა. ამჟამად მცირე კორომებიღა გადარჩენილი, სულზე მიეუსწარით კახეთში ბაბანეურის ძელქვიანების, მაგრამ ეს წვეთი წყალია იმ ძელქვიანებთან შედარებით, რაც გვქონდა.

კოლხეთის მდინარეთა ხეობები — ბზიფის, ჯოდორის, ენგურის, რიონისა, ცხენისწყლისა და სხვათა დამშვენებული იყო ბზის ტევრებით. ტანმაღალი და ტანმსხვილი ბზა მოსაგონარია. ძველთა ქალს მზიფად ატანდნენ უთხოვარის სარსა და ჭიიოს. ვენახში სარად შედგმული ასეულ წლებს ძლებდა. ეს ის წითელი ხეა, რომელსაც საავეჯოთ ბადალი არა აქვს. ჩრდილოეთ კავკასიაში, არდონის შენაკადის წიას ხეობაზე, არის ტაძარი უთხოვრის ძელებით ნაგები, შაპნაკაზის მიერ აგებული. დღეხაც კარგად დგას, მერქანს ყანდი არ შესვლია. ჩვენს ტყეში თითო-ოროლა ეული ხეღაა გადარჩენილი. დროულად რომ არ ტყე კი — მთაში. ორივე აუცილებელი და საჭირო. ჭალის ტყე ოდითვე დიდი მოვლის საგანი იყო. ძველ სიგელ-გუჯრებს მეგრეგან, სადაც ჭრები ჩატარდა, ტყე ზედმეტად არის გამეჩხერებული, ზოგან ისე, რომ ნიადაგის დაცვის, წყლის შენახვის და აღდგენის უნარი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაკარგული აქვს. ტყის მჭრელთა დანაშაული ის არის, რომ მოსაჭრელი ტყისაკენ გზები არ გაკაფავთ, უზარმაზარი ტრაქტორი შეუგდიათ ტყეში და გარეული ტახივით აბუერავენენ. გააქვს ნორჩნარს ღაწალეული, ერთი მორის გამოტანას ათს და ოცს ნორჩს, თუ მეტს არა, ანაცვალებენ. გარდა ამისა, ტრაქტორი ნიადაგის ზედაფენს შლის და ხელს უწყობს ჩამორეცხვას. შეიძლება ზოგმა გაიოცოს, ჩამორჩენილობაც დამწამოს ამ ტრაქტორისა და, საერთოდ, ტექნიკის განვითარების ეპოქაში ლაპარაკობს ხარ-კამეჩზეო. დიახ ღრმა ხეობებში, მთის ფერდობებზე ტრაქტორი ხარ-კამეჩით უნდა შეიცვალოს. ძველი წესის გამოყენება ყოველთვის ჩამორჩენას არ ნიშნავს, თუ ხარის გამოყენება ტყის განვითარებას ხელს შეუწყობს, იგი ფრიად პროგრესულია.

ჩვენს ტყეში მთავარია არა ხის გამოტანა, არამედ ტყის მოვლა და რაც ამას ხელს შეუწყობს, ყველა მისაღებია.

სხვათა შორის ზოგიერთი ტყის ტრანსპორტის მცოდნეს შემოაქვს წინადადება ტყის გამოსაზიდად დირიჟაბლი გამოვიყენოთ. რატომ არ უნდა შევისწავლოთ ეს წესი და დადებით შედეგის შემთხვევაში გამოვიყენოთ კიდეც.

ვგონებ, ამ სახით უკვე აღარ შეეფერება ჩვენს რესურსებს ბეგრეგან, სადაც ტყეს ცოტაღა იმბარება, 200-ათასიანმა თბილისმა გაანადგურა რამდენიმე მაზრის (თბილისის, დუშეთის, ბორჩალოს და სხვათა) ტყეები. დღეს ერთმილიონიანი თბილისი გაზზე და ელექტრობაზე რომ არ იყოს გადაყვანილი, ორ-სამ წელიწადში გაანადგურებდა მრავალი ხეობის ტყეს.

სოფელში ელექტრიფიკაცია ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ლენინ არასდროს წყდებოდეს, ყოველ ოჯახს ჰქონდეს ელექტროენერგია. ეს კეთდება, მაგრამ საჭიროა უფრო აჩქარებული ტემპები.

და აი ამგვარად აუარებელი საკითხია გადასაწყვეტი და მოსაგელი. სწორედ ამიტომ არის დროული და მნიშვნელოვანი ლენინძიება — 50 მილიონი ხის დარგვა.

პირველ რიგში იქ უნდა დაირგას, სადაც ამას ჩვენი ბუნების დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს. არსებული სოფლის „ზეიბის ბასწვრივ და სოფლში დარგვა კარგია, მაგრამ მთავარია ავადმყოფს მალამო იქ დაადო, სადაც დაკოდილია.

ამავე დროს უნდა მოეწყოს ახალი სანერგეები, რომლებიც 3-4 წლის შემდეგ საშუალებას მოგვცემს უფრო ენერგიულად და ერთიანი ფრონტით შევუტიოთ იმ დიდ საქმეს რომელსაც ჩვენი ბუნების სიმშვენიერისა და ჯანმრთელობის აღწერდა. თორემ წაიღებს მტკვარი კასპის ზღვისაკენ, ენგური, რიონი, ჭოროხი, ბზიფი და სხვანი ზვი ზღვისაკენ ჩვენს მიწაწყალს. უმიწაწყლო ქართველი კაცი დაკარგავს იმას, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუძენია. ძველ საფლავის ქვაზეცა დარჩება გუთანი, ხმალი, ნამგალი, სალამური და ფანდური.

ტრაგედია ცაში

მთელი ჩვენი ხალხი აღაშფოთა სამგზავრო თვითმფრინავ „ან-24“-ზე ბანდიტური თავდასხმის ამბავმა, რაც 15 ოქტომბერს მოხდა, როცა თვითმფრინავი ბათუმიდან სოხუმში მიფრინავდა. ბანდიტებმა მოკლეს ბორტგამცილებელი ნადია კურჩენკო, დაჭრეს ეკიპაჟის ორი წევრი და ერთი მგზავრი და აიძულეს თვითმფრინავი თურქეთის ტერიტორიაზე დაშვებულიყო.

ახლა რედაქციაში ყოველდღიურად მოდის ათობით წერილი, დეპეშა, რეკავენ მოქალაქენი, ინტერესებთ ეკიპაჟის წევრების — თვითმფრინავის მეთაურის გიორგი ჭახრაკიასა და შტურმანის ვალერი ფადეევის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლებიც მძიმედ იყვნენ დაჭრილნი. გვთხოვენ უფრო დაწვრილებით მოვუთხროთ ამ ბანდიტური თავდასხმისა და ეკიპაჟის გმირობის ცალკეული დეტალები — როგორ დაიღუპა ნადია კურჩენკო და სხვ.

ვასრულებთ მკითხველთა თხოვნას, მოგითხრობთ საჰაერო მეკობრეთა თავდასხმის ამბავს ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრთა ნაამბობის მიხედვით.

თხუთმეტ ოქტომბერს საქართველოს ტერიტორიის შავი ზღვის სანაპიროზე ამინდს კარგი პირი არ უჩანდა: საავდრო ღრუბლები ირეოდნენ ცაში და ჭექა-ქუხილითა და წვიმით იმუქრებოდნენ. ამიტომ სამგზავრო თვითმფრინავმა „ან-24“, რომელიც ჩვენი დროით 18 საათსა და 25 წუთზე უნდა გაფრენილიყო ბათუმიდან სოხუმში, რამდენიმე წუთით დააგვიანა... ის-ის იყო თვითმფრინავი ცაში აიჭრა და კურსი სოხუმისაკენ აიღო, რომ ხალონში შემოვიდა სტიუარდესა **ნადია კურჩენკო**, ოცდაოთხ წლის ხასიათმოვნო შესახედაობის ქალიშვილი, და ჩვეულებისამებრ მგზავრებს აუწყა ფრენის პირობები — სოხუმამდე მგზავრობის დრო, სიმაღლე, ტემპერატურა. როცა მან ლაპარაკი დაამთავრა და წასვლა დააპირა, ერთ-ერთი მგზავრი წამოდგა, ქალიშვილს პაკეტი გაუწოდა და უთხრა: „გადაეცით ეს თქვენი ეკიპაჟის მეთაურს“. ნადიამ გამოართვა და სასამსახურო განყოფილებისაკენ გაემართა. მაგრამ იგრძნო, რომ მგზავრი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, და ვიდრე კარს გაიღებდა, მზუბრუნდა მას და უთხრა:

— დაბრძანდით თქვენს ადგილზე. ეს საბარგო განყოფილებაა, შემოსვლა არ შეიძლება.

— სუუ, ხმა არ გაიღო, გამიძეხ! — მოესმა მას სასინათლო წარმოთქმული მუქარა. შეშფოთებული მოტრიალდა და დაინახა უცნობის ხელში მოელვარე გადაჭრილი შაშხანა, რომელიც მკერდზე მიაბჯინა.

— შეიარაღებული ბანდიტები დაგვეხსნენ! — დაიძახა მან, კაბინაში შევარდა და შეეცადა კარები ჩაეკეტა მოძალადისათვის. მაგრამ იმავე წამს სროლა გაისმა, და ქალიშვილი იქვე დაეცა. თავდამსხმელი პილოტის კაბინაში შეეარდა.

ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მგზავრებმა ვერს მოსწვლაც ვერ მოასწრეს. ხოლო როცა წინა რიგში მსხდომნი შეეცადნენ მიშველებოდნენ ეკიპაჟის წევრებს, მათ წინ გადაუდგა ვიღაც ახალგაზრდა, რომელმაც მოსასხამს შიგნით ჭამაზე დამაგრებული ხელყუმბარები აჩვენა მგზავრებს და გააფრთხილა: „ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ ამავე წუთს ავაფეთქებ თვითმფრინავს“. როცა შეატყო, რომ ამ მუქარამ სათანადო გავლენა მოახდინა, ისიც სასამსახურო განყოფილებაში შეეარდა და კარი ჩაკეტა.

შიგნიდან კვლავ გაისმა სროლა ერთხელ, მეორედ. შესამედ... თვითმფრინავი ხაშინლად ირყეოდა, და მეტ წილ მგზავრებს იმედი გაუწყდათ. — ვიღუპებითო.

ამ მძიმე წუთებში გამბედაობა გამოიჩინა ორმა მგზავრმა — კინმინოვის რაიონის სადაურის მოლარემ **ბალინა კირიბაევამ** და ბათუმის ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველმა **ასლან კაციტანაძემ**. ბანდიტების მუქარის მიუხედავად ისინი ეკიპაჟის მისაშველებლად გაემართნენ და შეეცადნენ შეემტვრიათ კარი. მაგრამ ამ დროს, ამჯერად უკვე მგზავრთა ხალონის მიმართულებით, ატყდა სროლა, ტყვიებმა დაცხრილა კიდელი, დაიჭრა კიტანაზა.

მგზავრებს ისღა დარჩენოდათ, რომ ბედისწერას დალოდებოდნენ.

ეკიპაჟი კი განაგრძობდა ბანდიტებთან სამკვლერო-სასიცოცხლო ბრძოლას. ბორტგამცილებლის ნადია კურჩენკოს გვამს რომ გადააბიჯეს, ავაზაკები ეკიპაჟის მეთაურს მივარდნენ: „თურქეთისაკენ, გესმის, თურქეთისაკენ, მალე!“

მეთაურმა **გიორგი ჭახრაკიამ** კურსი შეცვალა და თვითმფრინავის სწრაფი მანევრირებით სცადა დაებნია ისინი. ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა ესროლა მას. ტყვიამ ხერხემალთან გაუარა ზურგში, და მფრინავმა გრძნობა დაკარგა. მეორე გასროლამ შტურმანი **ვალერი ფადეევი** დასცა.

მეორე პილოტის სულიკო შავაძისათვის არ უსვრიათ, ეტყობა, ბანდიტებს ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ გამოზომილი და ნავარაუდევი: ერთ-ერთი ცოცხალი უნდა დაეტოვებინათ, რომ მშვიდობით დაშვება შეძლებოდათ.

დაჭრილი მეთაური მალე მოსულიერდა. თვალი გაახელა და დაინახა მათზე იარაღდამიზნებული ორი ბანდიტი, რომელთა თვალებში რაღაც ველური, ბორკტა ციცხლი ელვარებდა. მან მაინც გაბედა და საგანგაშო სიგნალს დააჭირა ხელი, მაგრამ გვიანღა იყო — კავშირი გაეწყვიტათ.

— სულიკო, — გადაულაპარაკა მან ქართულად მეორე პილოტს,— ერთხელ კიდევ ვცადოთ, იქნებ შევაცდინოთ და სადმე მანლობელ აეროდრომზე დავჯდეთ.

მაგრამ უფროსი ბანდიტი მიუხვდა, იგი ილუმინატორში იყურებოდა ეტყობოდა ზღვაზე იღებდა ორიენტაციას, თან კომპასს დაჰყურებდა, და თვითმფრინავმა ადმოსავლეთისაკენ ქნა თუ არა პირი, იყვირა:

— ახლავე საზღვრისაკენ წადით, საბჭოთით, თორემ სულელურ ადგოლაცვთ და თვითმფრინავსაც ავაფეთქებთ.

მფრინავები მიხვდნენ, რომ ეს არ იყო უბრალო მუქარა. მხოლოდ შესაშინებლად რომ წარმოთქვამენ ხოლმე. ეს იყო რეალური საფრთხე, რადგან ომის შემდეგ, რაც მათ უკვე ამ რამდენიმე წუთში ფაიდინეს, უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ...

მაგრამ რა სურთ მათ, რა აქვთ განზრახული, ვინ არიან ისინი, რატომ გვაიძულებენ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვებას? — ეს ამოუხსნელი კითხვები წამოიჭრა მეთაურის გონებაში და ერთხელ კიდევ სცადა არ დანებებოდა, არათანმანური, ალმა-დალმა ფრენით აერია ცალი ყურადღებისათვის. მაგრამ ბანდიტებმა ქვლავ მიეცრათ გაფრთხილეს, თუ ბაბეოთა ტერიტორიაზე დაეშვებით, სულ ერთია თვითმფრინავს აფეთქებთო.

წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა ჰქონდა.

ზღვის სანაპიროს გასწვრივ იფრენეს სამხრეთით, დაბლა მიფრინავდნენ. მალე ნაპირიდან არც თუ შორს პატარა აეროდრომი შენშენეს. ვიდრე დაეშვებოდა. მეთაურმა ბანდიტებს ეუთხრა. საწყალი მითავდება უბედური შემთხვევის სიგნალი ონდა მიეცეო. მხოლოდ ამ საშუალებით მოახერხა ეთერში გასვლა, რომ სამშობლოსათვის ეცნობებინა გასაჭირი.

თვითმფრინავი თურქეთის მიწაზე დაეშვა.

—მე ეჭიმი, ვარ, როგორმე შემიყვანეთ მფრინავთა კაბინაში, იქნებ დავეხმარო, — თქვა მგზავრთაგან ერთმა მაღალმა ქალმა და შეეცადა კარი გაეღო. ეს იყო სოხუმელი **ზინაიდა ლევინა**. ბოლოს მან მოახერხა კაბინაში შესვლა. ბორტგამცილებელი ნადია კურჩენკოს გვამს რომ გადააბიჯეს, ავაზაკები ეკიპაჟის მეთაურს მივარდნენ: „თურქეთისაკენ, გესმის, თურქეთისაკენ, მალე!“

მეთაურმა **გიორგი ჭახრაკიამ** კურსი შეცვალა და თვითმფრინავის სწრაფი მანევრირებით სცადა დაებნია ისინი. ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა ესროლა მას. ტყვიამ ხერხემალთან გაუარა ზურგში, და მფრინავმა გრძნობა დაკარგა. მეორე გასროლამ შტურმანი **ვალერი ფადეევი** დასცა.

ეკიპაჟი ამ ბანდიტებს ეუბნებოდა, ეტყობოდა ზღვაზე იღებდა ორიენტაციას, თან კომპასს დაჰყურებდა, და თვითმფრინავმა აღმოსავლეთისაკენ ქნა თუ არა პირი, იყვირა:

— ახლავე საზღვრისაკენ წადით, საბჭოთით, თორემ სულელურ ადგოლაცვთ და თვითმფრინავსაც ავაფეთქებთ.

მფრინავები მიხვდნენ, რომ ეს არ იყო უბრალო მუქარა. მხოლოდ შესაშინებლად რომ წარმოთქვამენ ხოლმე. ეს იყო რეალური საფრთხე, რადგან ომის შემდეგ, რაც მათ უკვე ამ რამდენიმე წუთში ფაიდინეს, უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ...

მაგრამ რა სურთ მათ, რა აქვთ განზრახული, ვინ არიან ისინი, რატომ გვაიძულებენ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვებას? — ეს ამოუხსნელი კითხვები წამოიჭრა მეთაურის გონებაში და ერთხელ კიდევ სცადა არ დანებებოდა, ალმა-დალმა ფრენით აერია ცალი ყურადღებისათვის. მაგრამ ბანდიტებმა ქვლავ მიეცრათ გაფრთხილეს, თუ ბაბეოთა ტერიტორიაზე დაეშვებით, სულ ერთია თვითმფრინავს აფეთქებთო.

ეკიპაჟი ბოლოს ბანდიტებთან სამკვლერო-სასიცოცხლო ბრძოლას. ბორტგამცილებლის ნადია კურჩენკოს გვამს რომ გადააბიჯეს, ავაზაკები ეკიპაჟის მეთაურს მივარდნენ: „თურქეთისაკენ, გესმის, თურქეთისაკენ, მალე!“

მეთაურმა **გიორგი ჭახრაკიამ** კურსი შეცვალა და თვითმფრინავის სწრაფი მანევრირებით სცადა დაებნია ისინი. ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა ესროლა მას. ტყვიამ ხერხემალთან გაუარა ზურგში, და მფრინავმა გრძნობა დაკარგა. მეორე გასროლამ შტურმანი **ვალერი ფადეევი** დასცა

დიდოსტატი ეკრანზე

ზოგიერთი რამ, რასაც ფილმში ვერ ვნახავთ

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველი მკითხველი პირველად შეხვდა და დაუმეგობრდა ჩვენი სახელოვანი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირებს. ფეხმდინარეზე შემოვიდა მწერლობაში სვეტიცხოველის გენიალური შემოქმედის ლიტერატურული ორეული კონსტანტინე არსაკიძე. მკითხველმა იწამა მწერლის სიტყვა, მიიღო და შეიყვარა მისი რომანი, რომელიც სულ მალე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოები გახდა და მრავალჯერ გამოვიდა ქართულ ენაზე. წიგნით დაინტერესდნენ მხატვრები — საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, სასცენო ხელოვნების ოსტატები, შეიქმნა სპექტაკლები. რომანს ვეარდი ვერ აუარა საოჯახო ხელოვნებამაც — დაიწერა და დაიდგა შალვა მწვალიძის მშვენიერი ოპერა...

და, ბოლოს, კინემატოგრაფმაც დაარღვია დუმილი. ხვალიდან დედაქალაქის ეკრანებზე გამოდის კინოსტუდია „საართული ფილმის“ ახალი ნაწარმოები, შართოუკრანიანი ფილმის „დიდოსტატის მარჯვენის“ ორიგე სერია.

როგორია ფილმი? — ამის საბოლოო ობიექტური შემფასებელი და პირუთვნელი მსაჯული მაყურებელია.

ჩვენ კი დღეს მხოლოდ იმაზე მოგითხრობთ, რასაც მაყურებელი ეკრანზე ვერ ნახავს. მოგითხრობთ, თუ რაოდენ სიძნელესა და ხირთულესთან იყო დაკავშირებული ფილმის ზოგიერთი ეპიზოდის გადაღება.

გუშინ „კომუნისტის“ redაქციაში სტუმრად იყვნენ კინოფილმ „დიდოსტატის მარჯვენის“ დამდგმელი-რეჟისორები, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვასტანგ ტაბლიაშვილი და დავი აბაშიძე. დი ჩვენს მონათხრობსაც სწორად მათი ნაამბობი უდვეს საფუძვლად.

ფილმის კინოსცენარზე ვასტანგ ტაბლიაშვილი რომანს ავტორთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობდა. მისი საბოლოო ვარიანტის დამტკიცების დროს ეჭვი გამოითქვა ჩვენს პირობებში მომავალი ფილმის ზოგიერთი ეპიზოდის გადაღების შესაძლებლობის გამო. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა სცენებს ვეფხვების მონაწილეობით...

— სწორედ ამიტომ იყო, — თქვა ვასტანგ ტაბლიაშვილმა, — რომ მომავალი ფილმის გადაღება ჩვენ სწორედ ამ სცენებით დავიწყეთ. თუმცა რამდენჯერმე შიშიც სამყოფად ვიწვნიეთ და საფრთხეშიც ჩავვარდით, მაგრამ საბოლოოდ ყოველივე კეთილად დამთავრდა...

ეს იყო ზუსტად ორი წლის წინათ, 1968 წლის ოქტომბერში. კინოსურათის გადამღებმა ოლექტივმა თბოვნით მიმართა თბილისელთათვის კარგად ნაცნობთ — მარგარიტა ნაზაროვასა და მის მეუღლეს კინოტანტინე კონსტანტინოვსკის, ვეფხვების ცნობილ მომვლელიერებლებს, რომ თავიანთი „ოთხფეხა მეგობრებით“ მონაწილეობა მიეღოთ ფილმის გადაღებაში. იმხანად ნაზაროვას ვეფხვებს ჭ. სოჭის საცირკო არენაზე ჰქონდათ გასტროლები. ამიტომ საჭირო გახდა სოჭში გამგზავრება...

ფილმში მონაწილეობაზე „დათანხმდა“ ორი ვეფხვი — ვაკა და იტალია. ზღვის მახლობლად მოეწყო სპეციალური გადასაღები მოედანი (დაახლოებით ერთი კვადრატული კილომეტრის ფართობისა), რომლის ერთ ნაწილში აგებული იქნა მეფის სასახლის დეკორაცია.

— ნაზაროვამ და კონსტანტინოვსკიმ გვითხრეს, — იხსენებს ვასტანგ ტაბლიაშვილი, — რომ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე. ვეფხვი ყოველთვის ვეფხვია, მით უმეტეს შეუჩვეველ გარემოში, უცნობ ადამიანებთან შეიძლება ადვილად გაღიზიანდეს, გაავდეს და საფრთხე შეგვამოხვიოს. ამიტომაც ვიდილობდით ზუსტად დაგვეცვა მწვრთნელთა მითითებანი... თუმცა, შეიარაღებული ასისტენტებიც ყოველი შემთხვევისათვის მზად იყვნენ...

პირველად გადაიღეს ნადირობის სცენა, სადაც საჭიროა ვეფხვთან მიხვლა, რომ შეპყრობილი ნადავლი გამოართვან, სცენა, სადაც შორენას მოტრფიალე მეფე გიორგი იდგილობს ქალის თვალში დაამციროს მისი სამეფო. — გირშელი. ალბათ გახსოვთ ეს ადგილი რომანიდან:

...როცა მხედრები დაქვეითდნენ, ავაზა კისერში მისწვდენოდა ნადავლს, ხარბად ხვრეტდა გამარჯვებული სისხლს, თანაც ღრინავდა გავიბული.

მამაკაცები ვერ მიეკარნენ ახლოს. — აბა, მოდი, გირშელ!...

ეუბნება ღიმილით ყველისკიზის პატრონს გიორგი. გირშელი შეყოყმანდა და გაფითრდა სავსებით.

გიორგიმ ისევ გაიღიმა, წინ გაუსწორა თავის დიდის ძმისწულს...“

...დაიწყო გადაღება. ვეფხვი ვაკა გალიიდან გამოუშვეს. მან ცოტა გაირბინა, მერე მწვანე მინდორზე წამოწვა, და თვალების ბრიალით დაიწყო უცხო ხალხის და უცხო გარემოს თვალიერება. ხმალამოწვდილი გიორგი მეფე — ოთარ მელვინეთუხუცესი, უშიშრად მიუახლოვდა ნადირს, სულ ახლოს რომ მიეიდა, ვეფხვმა ჯერ ავისმომსწავლებლად შეუღრინა, მერე მაგრად გაჰკრა ტორი და ხმალი შორს გადაუგდო... ერთი წუთით ყველა დაიძაბა, არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. მაგრამ ოთარი არ დაიბნა. უმაღვე შესძახა, შუბით. (ეს იყო მსახიობის იმპროვიზაცია, სცენარით გაუთვალისწინებელი). მაშინვე მიაწოდეს შუბი, რომლის დანახვაზე ვეფხვი ერთბაშად შედგა და უკან დაიხია.

შემდეგ ნაზაროვა ამბობდა:

— საკმაო იყო მსახიობი შეშინებულიყო და გაღიზიანებულ ნადირს გამოქცოდა, რომ ვეფხვი მაშინვე თავს დაესხმოდა.

—კადრი ძალიან ეფექტური და მშვენიერი გამოვიდა, მაგრამ ფილმის საერთო განვითარების რიტმულობამ მაინც მოითხოვა მისი ამოღება, — გვითხრა რეჟისორმა, — ასე რომ მაყურებელი ამ კადრს ეკრანზე ვერ იხილავს.

ამავე დღეს გადაიღეს გირშელის (ვოგი ბელოვანი) მისვლა ვეფხვთან (ისევ ნადიმობის ეპიზოდში), რაც უხიფათოდ დამთავრდა...

არის კიდევ სცენა, როცა საჭიროა შორენას გადაღება ვეფხვთან ერთად (შორენას გირშელთან შეხვედრისას). თავიდან გადაეთვალა ეს ადგილი. ამ სცენის ე. წ. „დუბლი“, შორენას სამოსში გამოწყობილ ნინა მარგარიტა ნაზაროვას მონაწილეობით.

— მაგრამ მომდევნო დღეს, — ამბობს ვ. ტაბლიაშვილი, — როცა ნაზაროვა შეუძლოდ იყო, მისგან დაფარულად. კონსტანტინოვსკიმ ნება დაგვრთო ეს სცენა გადაგვიღო თვით ლალი ბადურაშვილის (შორენას) მონაწილეობით. ლალი ამისათვის ყოველთვის მზად იყო და ძალიან მოწადინებულიც, მაგრამ ნაზაროვა ვერ დავიყოლიეთ, ძალიან შიშობდა...

ლალისა და ვეფხვის პირველ შეხვედრას არავითარი ინციდენტი არ მოჰყოლია. ამიტომ გადავწყვიტეთ სცენა ხელმეორედ გადაგვიღო...

მაგრამ, როგორც ჩანს, ვეფხვი რატომღაც „გაგვინაწყენდა“. მსახიობი მიუახლოვდა თუ არა და კონსტანტინოვსკის მიერ მიცემული ხორცის ნაჭერი გაუწოდა, ვეფხვმა ერთი საზარლად დაიღრინა და ორივე თათით ბეჭებში სწვდა ქალს. ძნელი წარმოსადგენია რა მოხდებოდა, რომ ვეფხვთან უშიშრად არ მეჭრილიყვნენ შეიარაღებული ასისტენტები და გალიაში არ შეეგდოთ იგი...

— აქეთ მინდა გითხრათ, — დაუმატა ტაბლიაშვილის ნაამბობს რეჟისორმა დ. აბაშიძემ, — რომ შემდეგში ერთ-ერთი სარეპეტიციო წვრთნის დროს ამავე ვეფხვმა, რადაკაზე გაჯავრებულმა, ისე მაგრად ჩაარტყა ტორი კონსტანტინოვსკის თავში, რომ იგი კარგა ხანს იწვა საავადმყოფოში.

დიდი მუშაობა დასჭირდათ ფილმის ავტორებს, რომ მასობრივი სცენები (ბრძოლები და სხვ.), რაც შეიძლება დამაჯერებელი გამოსულიყო. ამ სცენების მონაწილე სტუდენტ ახალგაზრდობას თითქმის მთელი წელიწადი ასწავლიდნენ ფარიკაობას და სხვა საბრძოლო ილეთებს. დიდად დაეხმარა ფილმის კოლექტივს რეჟისორიის შინაგან საქმეთა სამინისტრო. მასობრივი სცენებისათვის მან გამოყო მილიციის 100 კურსანტი, რომლებიც მთელი თვის განმავლობაში უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ გადაღებებში. აქვე უნდა ითქვას, რომ ფილმში მონაწილეობს კინოსტუდია „მოსფილმის“ ცხენოსანთა არმია, დაახლოებით 1.500 მხედრის შემადგენლობით.

როცა ფილმის ორივე ნაწილის დამონტაჟება საბოლოოდ დასრულდა (გადაღებული 60.000 მეტრი კინოფირიდან ფილმში დარჩა 4.400 მეტრი), ზოგიერთი კორექტივი იქნა შეტანილი პირველ სერიაში. თითქმის განახევრდა კათოლიკოსის ქადაგების ეპიზოდი კლესიაში. შეიკვეცა კათალიკოსის სიტყვა ფხოველთა დარბაზში, შემცირდა ე. წ. ღუმილის ეპიზოდები.

— ამით ფილმის საერთო განვითარება, — ამბობს რეჟისორი, — უფრო რიტმული და ლოგიკური გახდა. ამას, იცადია, იგრძნობს მაყურებელიც, რომელსაც ნანახი აქვს პირველი სერიის წინანდელი ვარიანტი...

„დიდოსტატის მარჯვენა“ არის ფილმი ხელოვანზე, ვენიალურ შემოქმედზე, რომელიც მთელი თავით მაღლა დგას ეპოქაზე და ამიტომაც უპირისპირდება მას.

— ჩვენ ხაზი გავუსვით არა პირად კონფლიქტებს, — თქვა ვასტანგ ტაბლიაშვილმა, — არამედ შეეცადეთ გვიჩვენებინა ხელოვანის კონფლიქტი თავის ეპოქასთან.

ეს იყო დრო, როცა საზოგადოების მამოძრავებელ ფაქტორად მიჩნეული იყო უზენაესი სიტყვა ღვთაებისა. ეს კარგად არის გამოხატული მელქისედეკ კათალიკოსის სიტყვებში „...ყოველთა დამბადებლისა და ყოველისა მხილველის თვალი სუფევს ყველგან და მდოგვის მარცვალიც ვერსად დაეცემა თვინიერ ნებისა და ხედვისა მისისა...“. დიახ, არარაობად იყო მიჩნეული ადამიანი ღმერთის წინაშე. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა ეპოქასთან მებრძოლი დიდი ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე:

„ხელოვნებაა თავად ულოდაგება... მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწვა სიკვდილი...

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი...“

ასეთი იყო თავის ეპოქაზე ამაღლებული ხუროთმოძღვრის აზრი, ამავე აზრს, ამ იდეის მხატვრულ ხორცშესხმას ეძღვნება ფილმიც...

ფილმში მაყურებელი შეხვდება როგორც ჩვენს ცნობილ მსახიობებს; ისე ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც მთელი გატაცებითა და სიყვარულით განასახიერებენ თავიანთ გმირებს.

...დამთავრდა ორი წლის დაძაბული შემოქმედებითი შრომა, საეჭვო მრავალი სირთულითა და სიძნელით. ეკრანზეა „დიდოსტატის მარჯვენა“, ხოლო ფილმის შემქმნელი კოლექტივი მზად არის მოისმინოს მაყურებლის პირუთვნელი მსჯავრი.

ლ. კიკნაძე.

უჰ, რა ტკბილი იძინებს! ფოტოეტიუდი ა. ჩარკვიანისა.

ჭადრაკის მერიდიანებზე

იუგოსლავიის ქალაქ ვინკოვიცში დამთავრდა ტანდიული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვაჟთათვის — „ვინკოვიცის შემოდგომა-70“. წარმატება ხვდა დანიელ გროსმაისტერ ბ. ლარსენს, რომელმაც 10,5 ქულა შეაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ბრონშტინი, ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და გლიგორიჩი (იუგოსლავია). პეტროსიანმა, ტალმანოვმა, მინიჩმა და საბომ ცხრა-ცხრა ქულა შეაგროვეს და მეექვსე-მეცხრე ადგილები გაინაწილეს.

სოჭში გრძელდება საჭადრაკო ტურნირი გროსმაისტერთა და ოსტატთა შორის. გათამაშდა 7 ტური. გროსმაისტერებიდან დაწინაურდა მ. ტალი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს, ოსტატებიდან — ვ. ტუქმაკოვი — 5 ქულა.

სპორტაკლი „ტივოლის“ დარბაზში

ლიუბლიანის „ტივოლის“ დარბაზში 33 ქვეყნის სახელმწიფო ალმები ფრიალებს. სწორედ აქ, სადაც არაერთი უდიდესი ასპარეზობა გაუმართავთ, ამჯერად მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობის გათამაშება სპორტულ-ტანვარჯიშში ქალთა და ვაჟთა შორის. ჩემპიონატის გახსნას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. მის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა გუნდების სათადარიგო მოთამაშეთა გამოსვლები. საერთო მოწონება დაიმსახურეს ჩვენმა ტანმოვარჯიშე გოგონებმა რუსუდან სიხარულიძემ და ოლგა კორბუტმა.

ეს იყო ჩემპიონატის უფერტიურა, წინ იყო „ტივოლის“ სპექტაკლი, ოქროს მაძიებელთა სპორტული დავა. პირველად ბრძოლაში ქალები ჩაბნენ. ისინი ასრულებდნენ საკალდეულო პროგრამას. მთავარ მეტოქეებად თვლიან სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეებს. სტარტი საბჭოთა ქალებისათვის ცუდი როდი გამოდგა. მაგალითად, გროზნოელმა სტუდენტმა ლიუდმილა ტურიშჩევამ ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში მაღალი შეფასება — 9,7 ქულა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი დღის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა. მაგრამ დვირზე ვარჯიშმა ნაწილობრივ შეანელა ჩვენი სპორტსმენების წინსვლა და საერთო გუნდურ ჩათვლაში მცირე უპირატესობით ლიდერობა ხელი იგდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებმა — 188,65 ქულა. საბჭოთა გუნდი 188,55 ქულით მეორე ადგილზეა. ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალთა კოლექტივი, რომლის რიგებში აღარ არის ვ. ჩასლავსკა, მესამე ადგილზე იმყოფება.

რაც შეეხება პირად ასპარეზობას, აქ წარმატებით გამოდის ლიუდმილა ტურიშჩევა. იგი 38,25 ქულით ლიდერობს. მის უახლოეს მეტოქეს ევროპის ჩემპიონს კარინ იანეს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) 38,15 ქულით მეორე ადგილი უჭირავს.

ჩემპიონობის საკითხს, როგორც გუნდურ, ისე პირად ასპარეზობაში გადაწყვეტს ნებისმიერი ვარჯიში.

საქართველოს დღე ჩემპიონატზე

დუშანბე, 28 ოქტომბერი. (საკუთარი კორ. ხ. მახაუდოვი). კიდევ ორი ოქროსა და ბრინჯაოს მედლები წაიღეს ჩვენი ქვეყნის სამბიჭოთა ჩემპიონატიდან საქართველოში. მედლების მფლობელები გახდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ექს-ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონებაში შვიდგზის პრიზიორი ფირუზ მარტყოფლიშვილი და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ზეკალ ხორბალაძე. 23 წლის დინამოელმა ფ. მარტყოფლიშვილმა პირველად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ქვემსუბუქ წონაში.

პირადი პირველობის პრიზიორთა განსაზღვრის ახალმა სისტემამ თვითეულ სპორტსმენს მოსთხოვა ძალ-ღონის მაქსიმალური დაძაბვა, უკანასკნელ წამამდე ბრძოლის ტაქტიკურად წარმართვის ფასი.

ჩვენი ქვეყნის 1969 წლის ჩემპიონმა სერგი სუსლინმა ოთხჯერ ფრედ დაამთავრა • შეხვედრა და ოთხივეჯერ წონამ „იხსნა“ — მისი საკუთარი წონა ნაკლები იყო, ვიდრე მეტოქეებისა. მხოლოდ ვიქტორ ბოტორსკისთან ნახევარფინალში შეძლო მან თავის აქტივში ჩაეწერა გამარჯვება ქულებით. მაგრამ ფინალში ფ. მარტყოფლიშვილმა მეტად ტექნიკურად და ანგარიშიანად ჩაატარა ბრძოლა და ქულებით მოიპოვა უფლიერესის წოდება, სუსლინს კი „ვერცხლი“ დაუტოვა.

ფეხბურთი

დაკარგული ქულა

„დინამო“ (თბილისი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0. თბილისი. 24 ოქტომბერი. „ლოკომოტივი“ სტადიონი. მსაჯი ი. მეილანშტინი.

„დინამო“ — სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (მაჩაიძე), პეტრიაშვილი, კუტრავაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ზარია“ — ტკაჩენკო, შულეენკო, ჭურავლოვი, პიხეშკი, ვასენინი, ფომენკო, კუშნეროვი, სემიონოვი, ლისაკოვსკი (ეკიმოვი), კოკუსოვი, ფურსოვი.

თბილისელებმა საკუთარ მოედანზე მეორე ქულა დაკარგეს. თუმცა თბილისის დინამოელებს ბევრად უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდათ წარმატებისათვის მიეღწიათ, ვიდრე ვოროშილოვგრადელებს. ჩვენ აქ არ შევჩერდებით პირველ ტაიმზე, რადგან იგი ორივე გუნდმა ძალზე უფერულად, უღიმღამოდ ჩაატარა. ძირითადი ბრძოლა მეორე ნახევარში განვითარდა. ჩანს, სტუმრებს აკმაყოფილებდათ ფრე, ამიტომ ისინი ძირითად ყურადღებას საკუთარი კარის მისადგომების დაცვას უთმობდნენ. მოედნის ცენტრს მეტწილად კონტროლს თბილისელები უწევდნენ და სწორედ აქედან იწყებდნენ იერიშებსაც, მაგრამ დამაგვირგვინებელი ტაკაპზე აკლდათ სიმძაფრე, სიზუსტე.

საბრძოლო ფრე 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრაში წარმატება თბილისელებს ხვდათ 2:1.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

ოქრმს მედლის მთავარი პრეტენდენტი მოსკოვის „დინამო“ თამაშობდა ბაკოში „ნეფტჩისთან“ და გაიმარჯვა 2:0.

მატჩი ოდესაში ადგილობრივი „ჩერნომორეცისა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით 2:0.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ მინსკისა და კიევის „დინამოს“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 კიეველთა სასარგებლოდ.

მოსკოვის ტორპედოელები მასპინძლობდნენ ლენინგრადის „ზენიტს“. წარმატება მოსკოველებს ხვდათ 2:1.

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა აუტსაიდერთან — ორჯონიკიძის „სპარტაკთან“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ. საბოლოოდ ფრე.

ერევნის „არარატი“ ტაშკენტს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა „პახტაკორთან“. გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა 2:1.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 25 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	30	17	7	6	45-20	41
ცსკა	29	17	5	7	42-17	39
„სპარტაკი“ (მ.)	29	12	13	4	43-23	37
„ზარია“ (ვ.)	31	10	14	7	27-24	34
„დინამო“ (კ.)	31	14	5	12	34-29	33
„დინამო“ (თბ.)	29	12	8	9	40-28	32
„ტორპედო“ (მ.)	30	11	10	9	31-32	32
სკა (როსტ.)	30	8	15	7	26-26	31
„დინამო“ (მნ.)	30	10	10	10	31-26	30
„ნეფტჩი“ (ბ.)	29	8	11	10	23-22	27
„შახტიორი“ (დ.)	29	10	7	12	31-47	27
„არარატი“ (ერ.)	29	9	8	12	26-31	26
„პახტაკ.“ (ტ.)	30	7	12	11	23-43	26
„ზენიტი“ (ლ.)	30	9	7	14	28-39	25
„ტორპედო“ (ქ.)	30	6	11	13	22-34	23
„ჩერნომორ.“ (ო.)	30	7	9	14	23-37	23
„სპარტაკი“ (ორ.)	30	6	8	16	29-46	20

კომუნისტი კალენდარი

ამ კადრებს ფილმში ვერ ნახავთ







ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან გამოჩენილი იტალიელი კინოსსახიობის სოფი ლორენის ნიუ-იორკში გაძარცვის შესახებ. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ თავდასხმის დაწვრილებით ამბებზე მ. სტურპას წერილს, რომელიც გამოქვეყნებულია „ნედელიაში“

ქვირას, თერთმეტ ოქტომბერს, დილით ადრე ოტელ „ჰემპშირ-ჰაუზს“, სადაც მილიონერები ჭერაობენ აპარტამენტებს, ავტომანქანა მიადგა. მანქანიდან ოთხი ახალგაზრდა გადმოვიდა. მეზუთე საჭესთან დარჩა. ახალთახალ კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდები „ჰემპშირ-ჰაუზის“ ჰოლში შევიდნენ, პისტოლეტები იძრეს და ხელბორკილები დაადეს ორ ლიფტერსა და ორ დამლაგებელ ქალს. ორმა განგსტერმა თან წაიყვანა ღამის მეკარე ფერნანდო სალამენდი და ლიფტით ოცდამეორე სართულზე ავიდა. აქ იყო აპარტამენტები, რომლებიც დაქირავებული ჰქონდათ ცნობილ იტალიელ კინოპროდიუსერს კარლო პონტის და მის მეუღლეს მსახიობ სოფი ლორენს, რომელიც ნიუ-იორკში ჩამოვიდა ახალი ფილმის „მზესუმზირას“ პრემიერაზე.

განგსტერებმა ზურგში პისტოლეტები დაუჭირეს მეკარეს, აიძულეს ბინის კარზე დაერეკა და შესვლის ნებართვა ეთხოვა ვითომდა გაზის დანადგარის გასასწორებლად. დამფრთხალი მეკარე დაემორჩილა. მის ზარს გამოეხმაურა მსახიობის მდივანი ქალი ბრუსკიკა. სალამენდის ხმა რომ იცნო, მან კარი გააღო. თვალში ეცა მიღრეკილული პისტოლეტები. მდივანმა სცადა კარი მიეჯახუნებინა, მაგრამ ვეიანლა იყო. განგსტერებმა იგი განზე მიაგდეს და ბინაში შეიჭრნენ. თავზარდაცემულმა ქალბატონმა ბრუსკიამ დაიყვირა, მაგრამ ერთ-ერთმა განგსტერმა თავში პისტოლეტის სახელური ჩაარტყა და ხმა გააკმენდინა.

მეორე განგსტერმა სასტუმრო ოთახი გაიარა და კინომსახიობის საწოლში შეეარდა. წინა ოთახში ხმაურმა და ყვირილმა, ეტყობა, გამოაღვიძა მსახიობი. მან დაიარა ოთახიდან გამოვარდნილიყო, მაგრამ განგსტერმა უხეშად სტაცა ხელი თმაში და საწოლზე დაგდო.

— სად არის ძვირფასეულობა? — უყვირა მან.

— ამერიკაში ჩემი კოლექცია არ ჩამომიტანია — უპასუხა ლორენმა.

— სად არის ბეჭედი, რომლითაც შენ დევიდ ფროსტის სატელევიზიო შოუს დროს თავს იწონებდი?

ბრილიანტის მზესუმზირა
ქვის ჯუნგლებში

— ბეჭედი და სხვა სამკაულები ქირით გამოვართვი „ვან კლიფ ენდ არპლსის“ საიუველირო ფირმას. ისინი უკვე დავუბრუნე ფირმას.

— ბრილიანტები ან სიკვდილი! — მელოდრამატიულად მოითხოვდა განგსტერი. მაგრამ მსახიობი კვლავ უპასუხებდა, წვრილძალებს მეტი თან არაფერი მაქვსო.

განგსტერმა გადაწყვიტა სხვა მხრიდან შემოევლო.

— სად არის შენი ვაჟიშვილი? — მუქარით ჰკითხა ლორენს.

მსახიობის შვილს ორი წლის კარლო-უმცროსს მეზობელ ოთახში ეძინა. მისმა გადიამ, გერმანელმა ქალმა რუთ ბაფსტამ, ხმაური რომ გაიგონა და მიხვდა რაღაც ცუდი ამბავიაო, საბავშვო ოთახის კარი კლიტით ჩაკეტა და ამაოდ ცდილობდა ტელეფონით პოლიცია გამოეძახებინა. ინგლისური ენა რომ არ იცოდა, ბაფსტამ ვერა და ვერ გააგებინა მორიგეს, თუ რაში იყო საქმე, ვის და სად ძარცვავდნენ.

განგსტერი შეუცდომლად მოქმედებდა. მუქარამ დაუყოვნებლივ გაჭრა. ლორენი გაჭირვებით მოეგო გონს, კედლის კარადასთან მივიდა, იქიდან ძვირფასეულობა გამოიღო და მისცა თავდამსხმელს. ბანდიტები ლიფტით დაეშვნენ ჰოლში, ხელბორკილდადებულ მოსამსახურეებს, „ურჩიეს არ იხმაუროთო, დატოვეს „ჰემპშირ-ჰაუზი“ და გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ. ნადავლი სოლიდური იყო. განგსტერებმა ექვსასი ათასი დოლარის ძვირფასეულობა წაიღეს. ხუთასი ათასი დოლარის ბრილიანტები პირადად მსახიობს ეკუთვნოდა, დანარჩენი — „ვან კლიფ ენდ არპლსის“ ფირმას. ფირმის ძვირფასეულობა დაზღვეული იყო, ლორენისა კი არა. საქმე ის არის, რომ დამზღვევი კომპანიები ძალიან უხალისოდ აძლევენ პოლისებს განთქმულ კინოვარსკვლავებს, ვინაიდან მათ საკმაოდ ხშირად ძარცვავენ. რაც შეეხება სოფი ლორენს, ათი წლის წინათ იგი უკვე გახდა მძარცველთა მსხვერპლი, რომლებმაც მას ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების ბრილიანტის სამკაულები წაართვეს. ეს მოხდა 1960 წლის მაისში, ლონდონის გარეუბანში.

„ჰემპშირ-ჰაუზზე“ თავდასხმა მოხდა ერთი დღით იმაზე ადრე, ლონდონელ ბაკშვებმა, რომლებიც ჰუძონის ნაპირზე თამაშობდნენ, იპოვნეს ქალალდის პაკეტი. იქ აღმოჩნდა სოფი ლორენის პასპორტი, მისი ჩეკების წიგნაკი და საავიაციო ბილეთი.

ბრილიანტები ქალალდის პაკეტში, ცხადია, არ იყო.

ნპირ-ნპირი
გოლიათი დომგეგი

ბუკოვინელ მონადირეებს დიდხანს ეხსომებათ წლევანდელი ოქტომბერი. 200 წლის შემდეგ ადგილობრივ ტყეებში კვლავ გაჩნდა გოლიათი დომბები.

ამ ცხოველების ექვსსულიანი ერთი ოჯახი გადმოსახლეს ბელოვეჟის ტყვრიდან, მეორე — ობისპირა ნაკრძალიდან.

უკანასკნელ წლებში ბუკოვინაში გამოჩნდნენ სხვა ახალმოსახლენიც: თახვები, ონდატრები, ხოხბები. ზომიერმა ჰავამ, შესანიშნავმა ტყეებმა, ფართო მდელოებმა ხელი შეუწყვეს მათ აკლიმატიზაციასა და გამრავლებას.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ აქ თითზე ჩამოსათვლელი იყო კეთილშობილი ირემი და ევროპული შველი. ომის შემდეგ განხორციელებულმა ძვირფასი მხეცების დაცვის ღონისძიებებმა გაამდიდრეს სანადირო ფაუნა. ახლა ოლქის ტერიტორიაზე სამი ათასზე მეტი შველი, 500 ირემი, 1.500 გარეული ღორი, 800 მაჩვი, 11 ათასზე მეტი ციყვია. (საკვლევი).



რად უნდა დელფინს ქოლგა?

მართლაცდა, რად უნდა? საეჭვოა ვინმემ უპასუხოს ამ კითხვაზე. ყოველ შემთხვევაში ფრანგული ილუსტრირებული ჟურნალის „პარი-მატჩის“ redაქციას, რომელმაც ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად თავი არ უმტვრევია და, უბრალოდ, აიღო და პირველი პრიზი მიაკუთვნა მის გადამღებ ფოტორეპორტიორს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

25 ოქტომბერი

10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან); 11.00 — „ფ. ენგელსი და თანამედროვეობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი — „დედა“, 13.00 — ბავშვებისათვის — „გაიკეთეთ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უკეთესად“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 14.00 — გადაცემა ციკლიდან „ბეთჰოვენის ყველა სიმფონია“ — მე-2 სიმფონია, 14.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — სატელევიზიო ფილმი — „ნასაკრალის ჩირაღდნები“, 15.55 — „ორბიტა“ — სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ახალგაზრდობისათვის, 16.35 — „ადამიანი და კანონი“ — სტუდიაში რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. სმირნოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — „სპარტაკიადის“ შესახვედრად“, 17.30 — კონცერტი — „მხიარული მელოდიები“, 18.00 — ფერადი ტელევიზია „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „საბჭოთა საქართველო-50“ — „დიდი მარად, ჩემო სამშობლოვ“, „ასპის რაინი“, 20.00 — ფერადი ტელევიზია „მეფეები უნიდოდ“, „ტეხასის მილიონერები“ საუბარი საერთაშორისო თემაზე (გადმოცემა მოსკოვიდან) სტუდიაში საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს პოლიტმიმომხილველი ვ. ზორინი, 20.30 — „მომამზე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — გადაცემა „ქართული კინოს ამაგდარი“ — ვასილ ამაშუკელი, 21.10 — „საუსტრაალო ორბიტაზე“ გასართობი პროგრამა, 21.55 — მხატვრული ფილმი „ტბასთან“ (მეორე სერია).

26 ოქტომბერი

17.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია — ზოგად ფიზიკაში, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ბავშვებისათვის „ცეროდენას ეკრ